

ახალგაზრდა მენარმე მასწავლებელთა ინიციატივა (YETI):

სამეწარმეო განათლების განვითარება
სკოლებში მასწავლებელთა
მოსამზადებელი პროგრამის გზით

გიორგი ქანტურია, სანდორ ნაგი


გიორგი ქანტურია, სანდორ ნაგი

ახალგაზრდა მენარმე მასწავლებელთა ინიციატივა (YETI):

სამეწარმეო განათლების განვითარება სკოლებში
მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამის გზით

უნგრეთის მაგალითი





ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მენარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მენარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS". Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

შესავალი

სამენარმეო კომპეტენციის, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების განვითარება, დღის წესრიგში ადრეული 2000-იანი წლებიდან დადგა. ამ დროიდან საკითხი თანდათან მეტ მნიშვნელობას იძენდა. ამის მიუხედავად, ევროპულმა კომისიამ მხოლოდ 2016 წელს შეიმუშავა ევროპული მენარმეობის კომპეტენციათა ჩარჩო (EntreComp), სამენარმეო აზროვნების ცნების განმარტებისთვის.

ევროპული მენარმეობის კომპეტენციათა ჩარჩო (EntreComp) მენარმეობას განსაზღვრავს, როგორც იდეებისა და შესაძლებლობების ამოქმედებისა და მათი სხვებისათვის ღირებულად გარდაქმნის უნარს. მინიჭებული ღირებულება შეიძლება იყოს ფინანსური, კულტურული ან სოციალური. ჩარჩო ხაზს უსვამს 3 კომპეტენციას (მოქმედება, იდეები და შესაძლებლობები, რესურსები), რომელთაგან თითოეული მათგანი, თავის მხრივ, 5 კომპეტენციისგან შედგება. ჯამში, სამენარმეო აზროვნება 15 კომპეტენციას მოიცავს.¹

ევრიდიკეს (Eurodyce) მოხსენების შესაბამისად, ანგარიშს მონაწილე 36 ქვეყნიდან, სამენარმეო განათლება (EE), როგორც ძირითადი ხაზი, სრულყოფილად წარმოდგენილი არც ერთი ქვეყნის სკოლებში არ არის.² ზოგადად, სამენარმეო განათლება მიჩნეულია გამჭოლ თემად და, უმთავრესად, საშუალო სკოლის მაღალ საფეხურზე ისწავლება. დოკუმენტის მიხედვით, „სამენარმეო განათლებასთან მიბმული სწავლების შედეგები უმეტეს ევროპულ ქვეყნებში ფრაგმენტულია; შორსაა სრულყოფილებისგან და აკლია თანმიმდევრულობა საგანმანათლებლო საფეხურებს შორის“. მეტიც, ქვეყნების უმეტესობაში არ ტარდება სამენარმეო განათლების პირველადი ტრენინგები მასწავლებლებისთვის და ხელმისაწვდომი არ არის სარეკომენდაციო მასალა სწავლების მეთოდების შესახებ.

ასეთი იყო ვითარება 2016 წელს, თუმცა, კოვიდ19-ის პანდემიის გამო, სიტუაცია არ გაუმჯობესებულა. 2021-2022 წლების GEM გლობალური ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო მასშტაბით, სკოლის მოსწავლეები ვერ იღებენ სამენარმეო განათლებას. დასკვნა გამოტანილია 2000-ზე მეტი ეროვნული ექსპერტის მიერ, GEM გლობალურ ანგარიშში ასახული 50 სხვადასხვა ეკონომიკის კოლექტიურ შეფასებაზე დაყრდნობით. სამწუხაროდ, სამენარმეო განათლება სასკოლო დონეზე ეროვნული ექსპერტების მიერ გამუდმებით დაბალ შეფასებას იღებს.³

თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკითხი თანდათან აქტუალობას იძენს და სხვადასხვა ქვეყნები მრავალფეროვან ინიციატივებს ახორციელებენ სამენარმეო განათლების გასაძლიერებლად როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების დონეზე. მოცემულ დოკუმენტში აღწერილია ერთ-ერთი ასეთი ინიციატივა – ერასმუს+ –ის მიერ დაფინანსებული „ახალგაზრდა მენარმე მასწავლებელთა ინიციატივა“, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის უნგრეთში განხორციელდა.

¹ EntreComp: ევროპული მენარმეობის კომპეტენციათა ჩარჩო. 2018.

² სამენარმეო განათლება ევროპის სკოლებში. 2016.

³ სამენარმეო განათლების წარუმატებლობა სკოლებში. 2022.

სამენარმეო განათლება უნგრეთში

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებთან შედარებით, უნგრეთი უმცირეს თანხას ხარჯავს ზოგად განათლებაზე (მთლიანი შიდა პროდუქტის 3.8%).⁴ მეტიც, მასწავლებლების ხელფასები შედარებით დაბალია და პროფესიის პრესტიჟულობა ნახალისებელი არ არის.⁵

მიუხედავად ამისა, ეროვნული სამენარმეო კონტექსტის ინდექსი უნგრეთის სექტორულ გარემოებებს შედარებით მაღალ რეიტინგს ანიჭებს. უფრო ზუსტად, სკოლებში სამენარმეო განათლების მდგომარეობა 19-დან 12 ქულით შეფასდა.⁶ სავარაუდოდ, შეფასება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მენარმეობა განათლების ზოგადი პოლიტიკის ნაწილია. კონკრეტულად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მენარმეობა შეტანილია, როგორც გამჭოლი კომპეტენცია. კიდევ უფრო ზუსტად, ეს გულისხმობს (1) სხვებზე პასუხისმგებლობის აღებას და მოხალისეობას; (2) კარიერის მართვას და (3) ფინანსური წიგნიერების განვითარებას. გარდა ამისა, გარკვეული აქცენტი საგნობრივი სასწავლო გეგმის სტრუქტურაზეც კეთდება და მენარმეობა ირიბად, ან მოკლედ არის მოხსენიებული ეროვნული სასწავლო გეგმის თორმეტიდან სამ საგნმანათლებლო მიზანში. მეტიც, მენარმეობა აღნიშნულია რამდენიმე სტრატეგიულ დოკუმენტშიც. მაგალითად, 2009–2024 წლების ეროვნულ ახალგაზრდულ სტრატეგიაში.³

მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე, უნგრეთს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია უშუალოდ მენარმეობის განვითარების სტრატეგია. ამასთან, ქვეყანა მთლიანად დამოკიდებულია ევროპულ ფონდებზე და არა ეროვნულ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზე. ბოლოს კი, „უნგრეთის ახალგაზრდა მენარმეთა მხარდაჭერის სისტემის მთავარი ნაკლია განათლებასა და უმაღლეს განათლებაში მენარმეობის ერთიანი მიდგომა. ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს „სამენარმეო ცოდნის“ განვითარებას, მაგრამ არასრულყოფილად განხორციელების გამო, ხშირად მხოლოდ საბაზისო ცოდნის სწავლება ხდება და არა მენარმეობრივი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებისა.“⁷

ახალგაზრდა მენარმე მასწავლებელთა ინიციატივა (YETI) პროექტი

პროექტის შესახებ⁸

პროექტით მიზნად ისახავს მასწავლებელთა მომზადების პროგრამებზე (ITE) სამენარმეო განათლების შესახებ (EE) ცნობიერებისა და უნარების განვითარებას. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს სკოლებზე და რაც მთავარია – მოსწავლეთა ახალ თაობაზე. ეს არის პროექტის „პარტნიორობა მენარმეობის მასწავლებელთა მომზადებისათვის“ (PIETE) შემდგომი ინიციატივა.

⁴ [Teaching and Learning International Survey \(TALIS\) 2018 Results \(Volume II\): Hungary - Country Note](#)

⁵ YETI პედაგოგთა გაზიარების ანგარიში: უნგრეთის ეროვნული ანგარიში.

⁶ გლობალური მენარმეობის მონიტორი 2021/2022 გლობალური ანგარიში.

⁷ <https://www.gemconsortium.org/economy-profiles/hungary-2>

⁸ www.yetiproject.eu

პროექტს აქვს რამდენიმე ამოცანა:

- ▶ მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაზე მყოფი ჯგუფის შეფასება სამეწარმეო განათლების მიმართულებით - კონცეპტუალური აღქმა და ტერმინოლოგიის ცოდნა;
- ▶ სამეწარმეო განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაზე მყოფი ჯგუფისათვის, მათთვის უნარებისა და კომპეტენციების განვითარება;
- ▶ მომავალი პედაგოგების მხარდაჭერა, კარიერის დასაწყისიდანვე განახორციელონ მიღებული ცოდნის ტრანსფერი საუნივერსიტო კონტექსტიდან სასკოლო გარემოში;
- ▶ მოსწავლეთა რეალური სამეწარმეო განათლების ინტერვენციების წარმოდგენა;
- ▶ კარგად მომზადებული მენარმე მასწავლებლების მომზადების გზით, სამეწარმეო სასკოლო ინიციატივების განვითარება;

როგორც აღვნიშნეთ, პროექტის სამიზნე ჯგუფი მასწავლებელთა მომზადების პროგრამაზე არსებული სტუდენტები არიან. უფრო კონკრეტულად, პროგრამა აქცენტს აკეთებს სასკოლო პრაქტიკებზე მყოფ სტუდენტებზე. პროექტის მიზანია მონაწილეთა მხარდაჭერა სამეწარმეო ინტერვენციების განვითარების კუთხით. ამასთან, მისცეს მათ შესაძლებლობა სწავლების პროცესში სამეწარმეო განათლების ინტეგრირება მოახდინონ.

საბოლოოდ, პროექტის ფარგლებში შემუშავდება 6 კონკრეტული დოკუმენტი, რაც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

- 01** **პედაგოგთა გზამკვლევის ანგარიში** - დოკუმენტი მიზნად ისახავს შეიქმნას საგანმანათლებლო გზამკვლევი, რაც პედაგოგებს მოტივაციას შეუქმნის მასწავლებელთა პირველადი განათლების (ITE) პროგრამიდან სკოლებში დამოუკიდებლად სწავლებაზე გადასვლის პროცესში.
- 02** **კონცეპტუალური სკრინინგის ანგარიში** - YETI კვლევა მიმართულია მასწავლებლის პროგრამაზე მყოფი სტუდენტების ცოდნის შესწავლაზე, სამეწარმეო განათლების კუთხით.
- 03** **პერსონალური სამეწარმეო კანვასის მოდელი (Canvas Model)**, რომლის მიზანია სამეწარმეო განათლების საგანმანათლებლო სარგებლიანობაზე ცნობიერების ამაღლება.
- 04** **სასკოლო ტრანსფერის სტრატეგიის სახელმძღვანელო**, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება საუნივერსიტეტო სიმულაციური კონტექსტის გადატანა საკლასო ოთახის რეალურ გარემოში.
- 05** **სამეწარმეო განათლების ჰაბი**, რაც, სამეწარმეო სწავლების სტიმულირებისათვის, გააერთიანებს ისეთ რესურსებს, როგორცაა შესაბამისი ინსტრუმენტები, იდეები, საგაკვეთილო გეგმები;
- 06** **სადემონსტრაციო კოლექცია**, რომელიც თავს მოუყრის სამეწარმეო სწავლების ინტერვენციის 15-ზე მეტ წარმატებულ მაგალითს, რაც მასწავლებელთა მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის განკუთვნილი სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი იქნება.

შედეგების უმეტესობა 2022 წლის შემოდგომაზე იქნება ხელმისაწვდომი.

რაც შეეხება პროექტის ბენეფიციარებსა და მის ზეგავლენას, პროექტი სამ განსხვავებულ ჯგუფს მიემართება:



პროექტი სიღრმისეულ ცოდნას აძლევს მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მყოფ სტუდენტებს, რითიც გავლენას ახდენს მათზე, რათა ისინი გახდნენ სამეწარმეო სწავლების გამავრცელებლები.

პროექტი გავლენას ახდენს მასწავლებლის მომზადების პროგრამის მასწავლებლებზეც ანუ ლექტორებზე, მათზე ვინც ასწავლის და ხელმძღვანელობს სტუდენტებს.

და ბოლოს, პროექტი ზეგავლენას ახდენს სკოლებსა და უნივერსიტეტებზე, განსაკუთრებით სკოლათა ლიდერებზე, ვინც არჩევს, აფასებს და ხელმძღვანელობს მსურველ მასწავლებლებს.

ჯამში, პროექტი მიემართება ევროკავშირის მიერ მითითებულ ხუთივე მნიშვნელოვან სფეროს.⁹

ონსორციუმი

პროექტი აკავშირებს ევროკავშირის წევრი 7 ქვეყნის 7 ორგანიზაციას, მათ შორის უნივერსიტეტებს, სტარტაპებსა და ბიზნესს. ესენია:

1. ოსტრავას ტექნიკური უნივერსიტეტი - ჩეხეთის რესპუბლიკა
2. Univations GmbH – გერმანია
3. სეგედის უნივერსიტეტი - უნგრეთი
4. ინდუსტრიული ინოვაციების ქსელის უნივერსიტეტი (UIIN) - ნიდერლანდები
5. ტიროლის მასწავლებელთა განათლების საუნივერსიტეტო კოლეჯი - ავსტრია
6. ბელსკო-ბიალას უნივერსიტეტი- პოლონეთი
7. Bantani Education – ბელგია

პროექტი აქტიურად იყენებს თანაშემწის მეთოდოლოგიას, რის ფარგლებშიც უნივერსიტეტები დაწვრილებულია მასწავლებელთა ტრენინგ ცენტრებთან, რაც შედეგად გვაძლევს დეპარტამენტებს, რეგიონებსა და ქვეყნებს შორის საერთო მიდგომებისა და ექსპერტიზის გამოყენების შესაძლებლობას.

⁹ ევროპული კომისიის ანგარიში - სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის სახელმძღვანელო ხაზს უსვამს შემდეგ საკითხებს: განმანათლებელთა ტრენინგი, პარტნიორთა თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ცოდნის გაზიარება, სამეწარმეო განათლების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სამეწარმეო განათლების შესახებ კვლევისა და ანალიზის ჩატარება.

PIETE პროექტის ფარგლებში, გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა სეგედის უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტს - ბიზნესის სწავლების ინსტიტუტსა (ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი) და განათლების ინსტიტუტს (ხელოვნებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტი) შორის. შეხვედრის ძირითადი თემატიკა ეხებოდა მასწავლებლის მომზადების პროგრამისა და სამეწარმეო განათლების ინტეგრირების საკითხებს.¹⁰


პირველივე სამუშაო შეხვედრა კონტექსტის შექმნის მცდელობას დაეთმო. გამოიკვეთა მასწავლებელთა მომზადების პროგრამის ძირითადი გამოწვევები:

- ▶ სტუდენტები გადატვირთულები არიან, რადგან მათ უწევთ დასწრება როგორც ძირითადი პროგრამის ლექციებზე (მაგ: ბიოლოგია, მათემატიკა, ისტორია და ა.შ.), ისე მასწავლებელთა მომზადების მეცადინეობებზე განათლების ინსტიტუტში.
- ▶ პედაგოგებისთვის განკუთვნილია 32+2 კრედიტი, რაც გავრცობილი სასწავლო გეგმისთვის საკმარისი არ არის.
- ▶ ყველს კურსი სავალდებულოა. არჩევითი კურსი არ არსებობს.

პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, გუნდმა დეტალურად გაიარა EntreComp-ის თხუთმეტივე კომპეტენცია, არსებულ პროგრამებთან მიმართებით. გამოიკვეთა სამი კატეგორია:

- 1 კომპეტენციები, რომლებიც უკვე ინტეგრირებულია პროგრამებში (მაგ: შემოქმედებითობა, ეთიკური და მდგრადი აზროვნება, თვითშეგნება და ეფექტურობა);
- 2 კომპეტენციები, რომლებიც პროგრამებში არასაკმარისადაა ინტეგრირებული (მაგ: შესაძლებლობების განსაზღვრა, იდეების შეფასება, ინიციატივების აღება, დაგეგმვა და მენეჯმენტი);
- 3 კომპეტენციები, რომლებიც გამორჩენილია - ხედვა, ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება, გაურკვევლობებთან გამკლავება

საბოლოოდ, ფინალური სამუშაო შეხვედრის განმავლობაში განისაზღვრა სამი მოდული, რომელთა ინტეგრირებაც შესაძლებელია არსებულ პროგრამებთან, მათში სამეწარმეო კომპეტენციების გაერთიანების მიზნით.



დასკვნა

მიუხედავად სამეწარმეო განათლების მიმართულებით სკოლებში სერიოზული პროგრესისა, ბევრი ქვეყანა კვლავ იბრძვის მისი ყოველდღიურ სასწავლო პრაქტიკაში ინტეგრირებისთვის. როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამეწარმეო განათლება უნგრეთის საგანმანათლებლო სისტემის ზოგადი პოლიტიკის ნაწილია, თუმცა, მაინც სახეზეა ბევრი ხარვეზი. ამ კონტექსტში, ახალგაზრდა მეწარმე მასწავლებელთა ინიციატივა კარგი კატალიზატორია ცვლილებებისათვის. იგი აერთიანებს ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცდილებას და ქმნის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებელთა შემდგომ თაობებზე, რადგანაც ისინი აღიჭურვებიან მეწარმეობის სწავლებისთვის საჭირო უნარებითა და კომპეტენციებით. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი წინამორბედი ინიციატივის გაგრძელებაა, ის მაინც საწყის ფაზაშია და შედეგების უმრავლესობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი და მისი უნგრელი პარტნიორები ღია არიან თანამშრომლობისთვის, საქართველოში არსებული დაინტერესებული მხარეებისათვის ძალიან საინტერესო იქნება პროექტში ჩართვა და ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა.

ბიბლიოგრაფია

ბაჩიგალუპო, მ. კამპილის, პ. პუნე, ი. ვან დენ ბრანდე, გ. (2016) EntreComp მენარმეობის ჩარჩო კომპეტენციები. ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო ოფისი EUR 27939 EN;doi:10.2791/593884

EntreCom:p მენარმეობის ჩარჩო კომპეტენციები. ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო ოფისი, 2018

ევროპული კომისია//EACEA/Eurydice, 2016 სამენარმეო განათლება ევროპის სკოლებში. ევრიდიკეს (Eurydice) ანგარიში. ლუქსემბურგი. ევროკავშირის საგამომცემლო ოფისი GEM (გლობალური მენარმეობის მონიტორი) (2022) გლობალური მენარმეობის მონიტორი 2021/2022 გლობალური ანგარიში: მარცხი, როგორც შესაძლებლობა. ლონდონი: GEM

ჰილლი, სტივენ. სამენარმეო განათლების წარუმატებლობა სკოლებში. 2022 კერი, ანიტა. YETI მასწავლებელთა გზამკვლევის ანგარიში: უნგრეთის სახელმწიფო ანგარიში. 2022. სეგედის უნივერსიტეტი.

ლისიჩკის, სტეფან; ტომერბაკე იარლე; მელერი, მინნა; ფოლკმანი, ქრისტინე; გრუნჰაგენ, მარკ (2021) სამენარმეო განათლების ხელშეწყობის სახელმძღვანელო. ხუთი ძირითადი ქმედება ციფრული, მწვანე და სიცოცხლისუნარიანი ევროპისთვის. ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო ოფისი.

პაბლო ფრაზერი, გაბორ ფულოპი, მასსიმო ლოი და მარკურ შვაბე. განათლებისა და უნარების დირექტორატი - უნგრეთი - Country Note - TALIS 2018 შედეგები. OECD. 2020.

www.entrepreneurialteachers.eu

www.yetiproject.eu

www.gemconsortium.eu

George Chanturia, Sándor Nagy

**THE YETI PROJECT - DEVELOPING
ENTREPRENEURSHIP EDUCATION IN SCHOOLS
THROUGH INITIAL TEACHER TRAINING: (YETI):**

THE CASE OF HUNGARY

INTRODUCTION

Development of entrepreneurship competence as a valuable priority has been on the agenda since the early 2000.¹¹ Since then, the topic is gaining more and more importance. Despite that, it was not until 2016 when the European Commission developed the European Entrepreneurship Competence Framework (EntreComp) as a reference framework to explain what is meant by an entrepreneurial mindset.

EntreComp defines entrepreneurship as the capacity to act upon opportunities and ideas and transform them into value for others. The value that is created can be financial, cultural or social. The framework points out 3 competence areas (Into Action, Ideas and Opportunities, and Resources) where each one of them is composed of 5 competencies. Overall, there are 15 competencies that create an entrepreneurial mindset.¹²

According to the Eurodyce Report, none of the 36 countries covered by the report had fully mainstreamed entrepreneurship education (EE) in their schools.¹³ Generally, EE is seen as a cross-curricular topic and is mostly taught at the upper secondary level. According to the document, “learning outcomes linked to entrepreneurship education are fragmented in most European countries; they are not comprehensive and lack progression between education levels.” Moreover, most of the countries do not provide EE at the initial teacher training nor they provide guidelines in terms of teaching methods. Although, this was back in 2016, with the COVID19 pandemic, the situation is not any better. As the GEM 2021/2022 Global Report points out, schoolchildren are missing out of entrepreneurship education around the world. The conclusion is drawn from the collective assessments of over 2,000 national experts across the 50 different economies featured in the GEM 2021/2022 Global Report. Unfortunately, Entrepreneurship Education at School level is consistently scored low by national experts.¹⁴

However, as mentioned above, the topic is gaining more and more momentum and different countries implement various initiatives both at the school and at the higher education level to enhance EE. The document provides one of those initiatives – Young Entrepreneurial Teachers Initiative - funded by ERASMUS+ and implemented in several countries, including in Hungary.

¹¹ EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework. 2016

¹² EntreComp: The European Entrepreneurship Competence Framework. 2018.

¹³ Entrepreneurship Education at School in Europe. 2016.

¹⁴ The Failure of Entrepreneurship Education in Schools. 2022.

ENTREPRENEURSHIP EDUCATION IN HUNGARY

In general, Hungary spends the lowest amount of resources (3.8 of GDP) on general education to compare to other OECD countries.¹⁵ Moreover, teachers' salaries is also comparably low and the general prestige is not encouraging.¹⁶

Despite that, the National Entrepreneurship Context Index (NECI) rates Hungary's framework conditions relatively high. More specifically, entrepreneurial education in schools was rated as 12 out of 19.¹⁷ Presumably, this is due to the fact that entrepreneurship is part of the general policy in education. In particular, it is addressed explicitly as a cross-curricular competence in the national curricula. More specifically, these are (1) taking responsibility for others, volunteering; (2) Career guidance and (3) developing financial and monetary literacy. Apart from that, Some reference is also made in the subject-related framework curricula, and it is implicitly or briefly mentioned in three out of twelve educational aims in the national core curriculum. Furthermore, the reference about entrepreneurship is made in a number of strategies such as the National Youth Strategy 2009-2024.³

However, Hungary is yet to come up with an individual strategy addressing entrepreneurship and one should note that the country solely relies on EU funds rather than allocating its own national budget. Lastly, "the largest gap in Hungary's youth entrepreneurship support system is the lack of a cohesive approach to embedding entrepreneurship in education and higher education. The National Curriculum covers the development of "entrepreneurial knowledge," but this is rarely implemented and often results in the teaching of basic knowledge about entrepreneurship rather than the development of entrepreneurial mind-sets and practical skills among students."¹⁸

THE YETI PROJECT

About the Project¹⁹

The project intends to support awareness raising and skills development at the initial teacher education level (ITE) of entrepreneurship education (EE) and with that affect schools and the main beneficiaries - the new generation of students. It is a follow-up project of the Partnership for Initial Entrepreneurship Teacher Education (PIETE).

The project has several objectives:

- ▶ Assess the terminological and conceptual understanding of EE among ITE students.
- ▶ To raise awareness about EE and develop the skills and competencies among ITE students.
- ▶ To help teacher candidates to translate gained EE knowledge from rather simulative university contexts into actual classroom environments at an early stage of their teaching career.

¹⁵ [Teaching and Learning International Survey \(TALIS\) 2018 Results \(Volume II\): Hungary - Country Note](#)

¹⁶ YETI Teacher Pathway Report: Country Report Hungary.

¹⁷ Global Entrepreneurship Monitor 2021/2022 Global Report.

¹⁸ <https://www.gemconsortium.org/economy-profiles/hungary-2>

¹⁹ www.yetiproject.eu

- ▶ To showcase actual EE interventions of students.
- ▶ To enhance the level of entrepreneurial learning interventions at the school level by embracing a new generation of well proficient entrepreneurial teachers.


As mentioned, YETI will primarily target ITE students. More specifically, the program focuses on students that are going through their first teaching experience either through internships or the in-service induction phase. The goal is to help them develop entrepreneurial intervention methods, as well as enabling them to integrate elements of EE in their teaching.

Overall, the project would come up with six outputs that would support achieving the above-mentioned goals and objectives.

- 01** **Teacher Pathway Report** - the document aims to map the educational pathway that aspiring teachers undergo when they transition from ITE programs to autonomous teaching at schools.
- 02** **Conceptual Screening Report** - The Yeti survey focusses on exploring the conceptual understanding of ITE students with regard to EE.
- 03** **Personal Entrepreneurial Canvas Model** aiming to raise awareness about the educational benefits of EE.
- 04** **A School Transfer Strategy Handbook** that translates EE knowledge from a simulative university context into an actual classroom environment.
- 05** **An Entrepreneurial Education Hub** that would combine resources such as tools, activity ideas, lesson plans to stimulate entrepreneurial teaching interventions.
- 06** **Showcase Collection** that gathers 15+ successful cases of entrepreneurial learning interventions that are part of curricular teaching in ITE (senior) students.

Most of the outputs would be available in Autumn 2022.

Regarding the beneficiaries and the impact of the project, it affects three distinct groups:



The project affects ITE students in the final stage of their education, providing them with a deep understanding of EE, and making them real catalysts of entrepreneurial teaching.

The project also affects ITE educators, who teach, prepare, and supervise the teacher candidates before they transition to autonomous teaching.

Lastly, it also affects schools and HEIs, especially school leaders who recruit, evaluate and supervise the aspiring teachers.

Overall, the project takes into consideration all of the five important areas²⁰ pointed out by EU where decision-makers could become more active.

CONSORTIUM

The project connects 7 organizations from 7 EU Member States, among them universities, start-ups and businesses. These are:

8. Technical University of Ostrava - Czech Republic
9. Univations GmbH - Germany
10. University of Szeged – Hungary
11. The University of Industry Innovation Network (UIIN) – the Netherlands
12. The University College of Teacher Education Tyrol – Austria
13. University of Bielsko-Biala – Poland
14. Bantani Education – Belgium

Co-creation methodology approaches are used and universities are teamed-up with teacher training centers that results in cross-departmental, cross-regional and cross-country approaches and expertise.

Within the PIETE project three workshops were conducted among the two faculties of the University of Szeged - Institution of Business Studies (Faculty of Economics and Business Administration) and Institution of Education (Faculty of Arts and Humanities) – in order to ITE programs and integrate EE according to the EntreComp.²¹

Within the first workshop that tried to set up the context. Some of the major challenges in ITE that were identified are as follows:

- ▶ The students are really overloaded, meaning that they must attend classes at their “mother faculty” according to their main program (e.g. biology, math, history, etc.) and classes in ITE program at Institution of Education.
- ▶ There are only 32+2 credits for pedagogy that is not enough for an extended teaching curriculum.
- ▶ All courses are compulsory, there are no optional courses.

After identifying the problems, the team went through all 15 competencies of the EntreComp against the existing programs. They identified three categories: (1) competencies that were already integrated in the program (e.g. creativity, ethical and sustainable thinking, self-awareness and self-efficacy); (2) the competencies that were insufficiently integrated in the program (e.g. spotting opportunities, valuing ideas, taking initiatives, planning and management) and (3) competencies that were missing – vision, financial and economic literacy, coping with ambiguity.

Eventually, during the final workshop, three modules were identified that could be integrated with the existing programs in order incorporate entrepreneurship competencies.

²⁰ European Commission’s Report - A Guide to Fostering Entrepreneurship Education – points out the following topics: Training educators, ensuring stakeholders’ cooperation, sharing knowledge, raising awareness of EE benefits as well as conducting research and analysis about EE.

²¹ <https://www.entrepreneurialteachers.eu/index.php/2021/06/29/workshop-implementation/>

MODULE 1

Self-awareness measurement in the acquisition of entrepreneurial mentality or in other words "Journey to become an Entrepreneurial Teacher"

MODULE 2

Teacher-student joint practices - As a rule, this type of training (up to 30 hours long) are mandatory for practicing teachers every 3-5 years, while HEI students could be motivated by ECTS credits obtained for participation.

MODULE 3

Summer school - for interested students who wish to learn more about entrepreneurship competency development training in the form of summer schools could be organized.

CONCLUSION

Despite serious progress in terms of entrepreneurship education in schools, many countries are still struggling integrating that in their everyday practice/teaching. As mentioned above, even though EE is part of the general policy of Hungarian education system, still lots of gaps remain. In that context, YETI project is a great catalyst for changes as it brings both local and international experience to create important educational resources and most importantly affect the next generation of teachers so that they are equipped with the necessary skills and competencies to teach entrepreneurship. Even though the project is a follow-up to the PIETE project, it is still in the initial phase and the most outputs are being currently developed. Since the project and its Hungarian counterparts are very open for cooperation, it would be very interesting for the Georgian counterparts to engage with the project and plan joint activities.

BIBLIOGRAPHY

Bacigalupo, M., Kampylis, P., Punie, Y., Van den Brande, G. (2016). EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework. Luxembourg: Publication Office of the European Union; EUR 27939 EN; doi:10.2791/593884

EntreComp: The European Entrepreneurship Competence Framework. Luxembourg: Publications Office of the European Union, 2018

European Commission/EACEA/Eurydice, 2016. **Entrepreneurship Education at School in Europe.**

Eurydice Report. Luxembourg: Publications Office of the European Union.

GEM (Global Entrepreneurship Monitor) (2022). Global Entrepreneurship Monitor 2021/2022 Global Report: Opportunity Amid Disruption. London: GEM

Hill, Stephen. The Failure of Entrepreneurship Education in Schools. 2022.

Keri, Anita. YETI Teacher Pathway Report: Country Report Hungary. 2022. University of Szeged.

Lilischkis, Stefan; Tømmerbakke, Jarle; Melleri, Minna; Volkmann, Christine; Grünhagen, Marc (2021): A guide to fostering entrepreneurship education. Five key actions towards a digital, green and resilient Europe. Luxembourg: Publication Office of the European Uni

Pablo Fraser, Gabor Fülöp, Massimo Loi and Markus Schwabe. Directorate for Education and Skills. Hungary - Country Note - TALIS 2018 Results. OECD. 2020.


 www.entrepreneurialteachers.eu

 www.yetiproject.eu

 www.gemconsortium.eu

მიხეილ იაშვილი, სანდორ ნაგი

**მენარმეობის სწავლება
უნგრეთის სკოლებში**



ნაშრომი შექმნილია ვიშეგრადის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მენარმეობის სწავლება სკოლებში - PEERS“ ფარგლებში. პროექტი გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მენარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და საქართველოში დანერგვას.

The case study was created within the framework of the project "Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS". Project aims to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia.

რეზუმე/აბსტრაქტი

მოცემული სტატიის მიზანია უნგრეთის სკოლებში სამეწარმეო განათლების შესახებ არსებული ინფორმაციის მიმოხილვა და შეჯამება. ევროკავშირის მიზნებთან და მოლოდინებთან ჰარმონიზაციის პროცესში, მეწარმეობის სწავლების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. უნგრეთმა, გარკვეულწილად, სერიოზული პროგრესი აჩვენა სკოლებში სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერების კუთხით, მაგალითად, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და პოლიტიკის დოკუმენტებში სამეწარმეო განათლების ინტეგრირების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, დაწყებით და საშუალო სკოლების დონეზე, მეწარმეობის სწავლება კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას და სახელმწიფოსგან მეტ კონკრეტულ ინიციატივას საჭიროებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნგრულ სკოლებში არაერთი იმედისმომცემი ინიციატივა განხორციელდა კერძო სექტორის მხრიდან.

შესავალი

ინიციატივისა და სამეწარმეო ცნობიერების განვითარება და ხელშეწყობა ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, ვინაიდან სამეწარმეო უნარებით აღჭურვილი საზოგადოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცესში. სწორედ ამიტომ, უკანასკნელი ორი დეკადის მანძილზე, ევროკავშირი დიდი ენთუზიაზმით უჭერს მხარს წევრი ქვეყნების სკოლებში მეწარმეობის სწავლებას. ევროკავშირის ეს მისწრაფება ევროპული საბჭოს 2000 წლის ლისაბონის სამიტზეც გამოიხატა, სადაც ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო დეკადის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი საზოგადოებაში ინიციატივისა და სამეწარმეო ცნობიერების ხელშეწყობა გახდებოდა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2000 წლამდე, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) 1996 წელს წამოიწყო DeSeco პროექტი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიოში ინიციატივისა და სამეწარმეო უნარების განვითარების მნიშვნელობას. მოგვიანებით, ეს ხედვა გამოიხატა 2000 წლის ლისაბონის სამიტზეც. შემდეგ, 2001 წელს, სამეწარმეო უნარების განვითარება სტოკჰოლმის კონვენციის 13 სტრატეგიულ მიზანს შორის ინტეგრირდა. სტოკჰოლმის კონვენცია ფასილიტაციას უწევს დისკუსიის პროცესს და ევროკავშირის ქვეყნებში შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას. დოკუმენტები მიემართება საზოგადოებაში სამეწარმეო უნარების განვითარების აუცილებლობას და საგანმანათლებლო სისტემებში მის ასახვას. საგანმანათლებლო სისტემების მნიშვნელოვანი როლი სამეწარმეო უნარების განვითარებაში ხაზგასმული იყო 2003 წლის „მწვანე დოკუმენტში“.

უნგრეთი ევროკავშირის წევრი 2004 წელს გახდა. ამ პერიოდიდან (და უფრო ადრეც, ევროკავშირში გაწევრების პროცესის დაწყებისთანავე) ქვეყანამ აიღო ევროკავშირის მიზნებთან, ღირებულებებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი დოკუმენტების შემუშავებისა და პოლიტიკის გატარების ვალდებულება. საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირება და რეკონსტრუქცია სწორედ ამ პროცესის ნაწილია. როგორც

ზემოთაც აღინიშნა, ევროკავშირმა დიდი ძალისხმევა ჩადო სასკოლო დონეზე მენარ-მეობის სწავლების იმპლემენტაციისთვის. უნგრეთის ევროკავშირის ნაწილად გარდაქ-მნასთან ერთად, მთავრობა ცდილობდა მხარი დაეჭირა სამეწარმეო გარემოსთვის და ყურადღება გაემახვილებინა სამეწარმეო უნარების სწავლებაზე.

უნგრეთის საგანმანათლებლო სისტემა

უნგრეთში სავალდებულო განათლება 3 წლის ასაკიდან – საბავშვო ბაღიდან იწყება და უფასოა. ბავშვები სკოლებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირ-დებიან. სკოლას არ აქვს უფლება ჩარიცხვაზე უარი უთხრას მის სამოქმედო ზონაში მცხოვრებ ბავშვს. სკოლებს მოსწავლეთათვის მისაღები გამოცდის დაწესების უფ-ლება არ გააჩნიათ (Eurydice, 2022). მშობლებს შეუძლიათ არჩევანი სხვა დასახლებაში მდებარე სკოლაზე შეაჩერონ, თუმცა, ამ შემთხვევაში, სკოლას შეუძლია, რომ მშობლის განცხადება არ დააკმაყოფილოს. ამრიგად, წინასასკოლო ფაზის შემდეგ, 6 წლის ასაკიდან, ბავშვები ავტომატურად შედიან დაწყებით სკოლაში. 2012 წლიდან, სავალ-დებულო სასკოლო განათლება 6–დან 16 წლამდე გრძელდება. ათწლიანი სავალ-დებულო სასკოლო განათლება ორი საფეხურისგან შედგება – დაწყებითი სკოლა, რომელიც დაბალ და მაღალ დონეებად იყოფა და საშუალო სკოლა. დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ, ბავშვებისთვის სავალდებულოა საშუალო განათლების მიღება მინიმუმ ორი წლის განმავლობაში. შესაბამისად, პირველადი განათლება 8 წელი გრძელდება და ორ ნაწილად იყოფა: დაწყებითი ფაზა, პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით და საშუალო ფაზის დაბალი საფეხური – მე-5-8 კლასები. რვა კლასის წარმატებით დასრულება დაწყებითი საფეხურის დასრულებას ნიშნავს. ყოველი აკადემიური წლის დასრულებისას, გამოცდების ჩატარება შესაძლებელი, მაგრამ არასავალდებულოა.

პირველადი განათლების დასრულების შემდეგ, ბავშვები საშუალო სკოლებიდან ერთ-ერთს ირჩევენ: ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას, პროფესიულ საშუალო სკოლას, პროფესიულ სატრენინგო სკოლას ან სპეციალიზებულ პროფესიულ სატ-რენინგო სკოლას. თუმცა, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში შესვლამდე, მათ სტანდარტიზებული, კომპეტენციებზე დაფუძნებული გამოცდა უნდა ჩააბარონ, რომელსაც განათლების სამინისტრო ატარებს.

საშუალო სკოლის ზედა საფეხური მე-9 კლასიდან იწყება და, ჩვეულებრივ, 4 წელი გრძელდება. აქედან, 2 წელი ყველა მოსწავლისთვის სავალდებულოა. იშვიათ შემ-თხვევებში, ზედა საფეხურის ხანგრძლივობა შესაძლოა 5, 3 ან 2 წელი იყოს. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო ან პროფესიული საშუალო სკოლის პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა ჩააბარონ საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდები. გამოცდის წარმატებით ჩაბარება მათ უფლებას აძლევს შეუდგნენ უმაღლეს განათლებას. უმაღლესი განათლება პროფესიული ტრენინგ სკოლის კურ-სდამთავრებულთათვისაც ხელმისაწვდომია, თუმცა მათ დამატებით ორი წლის განმავლობაში საშუალო სკოლაში სწავლა და გამოსაშვები გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

უნგრეთის სამეწარმეო განათლების ზოგადი მიმოხილვა

ევროკავშირში ინტეგრაციის პარალელურად, უნგრეთმა განათლების სისტემის ყველა დონეზე სამეწარმეო განათლების დანერგვა დაიწყო. უნივერსიტეტებში, სკოლებში და საბავშვო ბაღებშიც კი, გაჩნდა სპეციალური კურსები და ინიციატივები. ქვემოთ მოცე-

მულია საბავშვო ბალებთან და მეტწილად, სკოლებთან ასოცირებული ინიციატივების მოკლე მიმოხილვა.

სამეწარმეო განათლება საბავშვო ბალებში

წინასასკოლო უნარების განვითარების პროცესის უმთავრესი ინსტრუმენტი თამაშით სწავლებაა. ამიტომ, სამეწარმეო უნარების განვითარება წინასასკოლო ცხოვრების მარეგულირებელ დოკუმენტაციასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში პირდაპირი სახით არასდროს გვხვდება.

იყო ერთადერთი მცდელობა: ორგანიზაციამ Junior Achievement Hungary (JAM) სცადა საბავშვო ბაღის ექსპერიმენტული პროგრამის წარდგენა, თუმცა წინასასკოლო დაწესებულებათა მასწავლებლების უმრავლესობისთვის ის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ, 2008 წელს, JAM-მა საბავშვო ბაღების პედაგოგებისთვის შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ბავშვებისთვის დამოუკიდებლობისა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნის გადაცემაზე, რაც ირიბად სამეწარმეო უნარების განვითარებაზეც აისახება. სამწუხაროდ, ტრენინგ პროგრამის წარმატების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს (Gönczöl et al. 2011).

სამეწარმეო განათლება სკოლებში

ეკონომიკური განათლება და სამეწარმეო უნარების განვითარება უნგრეთის საგანმანათლებლო სისტემაში 1990-იანი წლებიდან შეინიშნება. ამ საკითხთან დაკავშირებული მცდელობების ისტორია სამ პერიოდად იყოფა:

პერიოდი 1: საპილოტე პროგრამები (1995 წლამდე)

საპილოტე პროგრამები უნგრეთის საშუალო სკოლებში პირველად გამოჩნდა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი სასკოლო ექსპერიმენტი, რომელსაც საზღვარგარეთიდან ადაპტირებული პროგრამების ფორმა ჰქონდა. მაშინდელი პროგრამების ძირითადი მიზანი ახალგაზრდების მეწარმეობად ჩამოყალიბებაში დახმარება იყო. ამავე დროს, ზოგიერთი სკოლა, მათ მიერ სპეციალური პროგრამების შემუშავების გზით, ამ დარგში საგანმანათლებლო ინოვაციების წამყვან ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. ამ მიმართულებით, ალტერნატიული ეკონომიკის უმაღლესი სკოლა და ეკონომიკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულება იყო.

პერიოდი 2: ეროვნული სასწავლო გეგმის შეშუპავების შედეგში ნაბიჯები (1995 წლის შემდგომ)

1995 წელს ეკონომიკის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილი გახდა. თუმცა, ამ დროისთვის, ამ ფაქტს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. პარალელურად, ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა ინდივიდუალური სასკოლო ექსპერიმენტები. სამაგიეროდ, ამავე წლებში, უფრო და უფრო, მეტი სკოლა შეუერთდა სხვადასხვა სამოქალაქო პროგრამებს. ამ დროს, არჩევანის გაკეთება ოცამდე მოქმედ პროგრამას შორის იყო შესაძლებელი.

ამავე პერიოდში, დაიწყო სპეციალური მიზნობრივი ტრენინგი მასწავლებლებისთვის. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ხშირად იცვლებოდა არა მხოლოდ სკოლების მიერ, არამედ სასწავლო წლის მიხედვითაც.

პერიოდი 3: ესგ-ის მიხედვით სწავლება (2001 წლის შემდეგ)

